ხელშეკრულება № 08-38/2
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 31.08 2018 წ.

შემსყიდველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52; ტელ.: 2200220
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22;
ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: სს „საქართველოს სასტუმროები და სპა“ „წყალტუბო სპა რესორტი“ წარმოდგენილი დირექტორის ანდრო ჯიშკარიანის სახით,
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, პეტრიაშვილის ქ. N28/11;
ტელ: 995 599 09 16 10; 0436 22 14 17
ფაქტიური მისამართი: 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N23;
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“; კოდი: MIBGGE22
ანგ. GE53PC0133600100060579
საიდენტიფიკაციო კოდი 404381414

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 24 აგვისტოს N1987 განკარგულების „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ (SMP180001728) საფუძველზე მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებას დებენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 ,,მომსახურება” – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ “ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 32 08 01) მოხალისეობის განვითარება - „საქართველოს მოხალისე“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების ფარგლებში მოხალისეების, პროგრამის კოორდინატორებისა და ტრენერების (სულ 170 პერსონა) სასტუმრო მომსახურება (მონაწილეთა სატრანსპორტო მომსახურების ჩათვლით) **(CPV55100000).**

2.2 გასაწევი მომსახურების აღწერილობა (პირობები) განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **64 000,00 (სამოცდათოთხი ათასი)** ლარს.
3.2 გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია ფასების ცხრილში:

№	აქტივობის დასახელება	განზომილება	ფასი
1	სასტუმრო მომსახურება (კვებით)	პერსონა მე-4 მუხლის 4.3.1 პუნქტის შესაბამისად	36 300,00
2	კვების მომსახურება (ყავა-ჩაის შესვენება)	მე-4 მუხლის 4.3.2 პუნქტის შესაბამისად	11 900,00
3	საკონფერენციო მომსახურება	მე-4 მუხლის 4.3.2 პუნქტის შესაბამისად	10 800,00
4	გარე აქტივობისთვის სივრცით უზრუნველყოფის მომსახურება		0
5	სატრანსპორტო მომსახურება	მე-4 მუხლის 4.3.5 პუნქტის შესაბამისად საქართველოს რეგიონებიდან დანიშნულების ადგილამდე და უკან	5 000,00
ჯამი:			64 000,00

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მომსახურების მიწოდების წესი და პირობები:

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს "ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის" (პროგრამული კოდი: 32 08 01) მოხალისეობის განვითარება - „საქართველოს მოხალისე" ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების ფარგლებში მოხალისეების, პროგრამის კოორდინატორებისა და ტრენერების (სულ 170 პერსონა) სასტუმრო მომსახურება (მონაწილეთა სატრანსპორტო მომსახურების ჩათვლით).

4.2 მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

სასტუმრო **„წყალტუბო სპა რესორტი"** მდებარეობს ქ. წყალტუბოში მისამართზე: 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N23.
მომსახურების გაწევის ვადა: 2018 წლის 2 დან 6 სექტემბრის ჩათვლით. (5 დღე, 4 ღამე).

4.3 მომსახურების/სამუშაოს აღწერა, შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა:

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს 170 პერსონისათვის სასტუმრო (ტრანსპორტირებით) მომსახურების გაწევა, რაც მოიცავს სასტუმრო მომსახურებას, სატრანსპორტო მომსახურებას, მონაწილეთა კვებით უზრუნველყოფას, საკონფერენციო მომსახურებას და გარე აქტივობების ჩასატარებლად შესაბამისი სივრცით (ეზო) მომსახურებას.

<u>4.3.1. სასტუმროში დაბინავების მომსახურება:</u>

მონაწილეთა დაბინავება უნდა განხორციელდეს იმავე სასტუმროში, რომელშიც ჩატარდება ტრენინგები.

სასტუმრო მომსახურება გაწეული უნდა იქნეს 170 პერსონაზე (5 დღე, 4 ღამე) 2 და 4 ადგილიან ნომრებში.
ნომრები აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური სველი წერტილებით, ცივი და ცხელი წყლით (24 საათი), კონდიცირების სისტემით (24 საათი), ტელევიზორი თანამგზავრული არხებით და ინტერნეტით. ნომრებში უნდა იყოს

ცალ-ცალკე საწოლები (გასაშლელი საწოლები არ მოიაზრება). ოთახებში დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები და იყოს შესაბამისი რაოდენობის პირველადი ჰიგიენის პროდუქტები.

4.3.2.კვებით მომსახურება (შვედური მაგიდა):

კვებითი მომსახურება მოიცავს სამჯერად კვებას და 2 ყავა/ჩაის შესვენებას. შემოთავაზებული მენიუ უნდა იყოს მდიდარი რაციონის და იცვლებოდეს პერიოდულად. მენიუ უნდა მოიცავდეს ვეგეტარიანულ და არავეგეტარიანულ კერძებს. მისაწოდებელი კერძები უნდა იყოს საკვებად ვარგისი და ჯანმრთელობისთვის უვნებელი, რაზედაც მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

I დღე - ორჯერადი კვება, შვედური მაგიდა (სადილი, ვახშამი)
ყავა/ჩაის შესვენება დღეში ორჯერ (ორცხობილა, ყავა, ჩაი).
II დღე -სამჯერადი კვება, შვედური მაგიდა (საუზმე, სადილი, ვახშამი)
ყავა/ჩაის შესვენება დღეში ორჯერ (ორცხობილა, ყავა ჩაი) .
III დღე - სამჯერადი კვება, შვედური მაგიდა (საუზმე, სადილი, ვახშამი).
ყავა/ჩაის შესვენება დღეში ორჯერ (ორცხობილა, ყავა, ჩაი)
IV დღე - სამჯერადი კვება, შვედური მაგიდა (საუზმე, სადილი, ვახშამი).
ყავა/ჩაის შესვენება (ორცხობილა, ყავა, ჩაი)
V დღე ერთჯერადი კვება შვედური მაგიდა (საუზმე).

კვებითი მომსახურების კონკრეტული დრო უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. სასადილო ოთახი უნდა იყოს გამართული გაგრილების სისტემით და დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები. სტუმრის მაგიდებს საჭიროების შემთხვევაში ემსახურებოდეს მიმტანი.

4.3.3.საკონფერენციო დარბაზით უზრუნველყოფა 4 (ოთხი) დღის განმავლობაში:

სასტუმროს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 150 პერსონაზე გათვლილი საკონფერენციო დარბაზი. დარბაზი აღჭურვილი უნდა იყოს არანაკლებ 1 პროექტორით, 2 მოძრავი მიკროფონით, ხმის გამაძლიერებლით, არანაკლებ ერთი მუსიკალური ცენტრით, არანაკლებ ერთი პრინტერით, არანაკლებ 5 ცალი ფლიფჩარტის დაფითა და შესაბამისი ფურცლებით და 2 ლეპტოპით. ასევე სასტუმროს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 პერსონაზე გათვლილი იზოლირებული 5 სამუშაო სივრცე, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს არანაკლებ 1 პროექტორით.

სატრენინგო დარბაზები (5 სამუშაო სივრცე) უნდა იყოს იზოლირებული და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი (ფარდით ან სხვა საშუალებებით გამოყოფა არ მოიაზრება). არ უნდა იყოს სარდაფში, ოთახებს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი განათება (უფანჯრო ოთახი არ განიხილება) და უნდა ნიავდებოდეს. სატრენინგო სივრცე არ უნდა ემიჯნებოდეს სამზარეულო სივრცეს. სატრენინგო დარბაზები უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონდიცირების გამართული სისტემით.

4.3.4.გარე აქტივობების ჩასატარებელი სივრცე

გარე აქტივობების ჩასატარებლად შემოთავაზებული სასტუმრო აღჭურვილი უნდა იყოს დიდი ეზოთი.

4.3.5.სატრანსპორტო მომსახურება

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სასტუმროში განსათავსებელი სტუმრების სატრანსპორტო მომსახურება, რაც გულისხმობს თბილისიდან და საქართველოს რეგიონებიდან (რეგიონული ცენტრებიდან) სასტუმრომდე და უკან ტრანსპორტირებას შემდეგი განრიგით:

თბილისიდან - 31 ადამიანი;
ბათუმიდან - 11;
ოზურგეთიდან - 7;
ქუთაისიდან - 25;
ზუგდიდიდან - 19;
ამბროლაურიდან - 7;
თელავიდან - 18;
ახალციხიდან - 14;

გორიდან - 10;
რუსთავიდან-16;
მცხეთიდან- 12.

მომწოდებელმა მონაწილეების გადაყვანა უნდა განახორციელოს ყველა სატრანსპორტო წესების დაცვით და გათვალისწინებით:

მიმწოდებლის მიერ მგზავრთა გადაადგილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები უნდა იყოს კომფორტული, დასუფთავებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, საქალაქთაშორისო ან ტურისტული სალონით აღჭურვილი, ტექნიკურად გამართულ (მუშა) მდგომარეობაში.

ასევე, მგზავრთა გადაადგილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილი უნდა იყოს გათბობა/გაგრილებისა და ვენტილიაციისათვის საჭირო სისტემით (კონდიციონერი). ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე არ უნდა იყოს დამატებით დამონტაჟებული სხვადასხვა სახის საწვავის აპარატურა თუ სხვა მოწყობილობა. მომსახურების გაწევისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნორმასა და მოთხოვნას.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
5.2 ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის (შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის) გაფორმების საფუძველზე.
5.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტი, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია) გაფორმების შემდეგ.
6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.
6.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის უფროსი. მისი არყოფნის შემთხვევაში, შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 შემსყიდველი ვალდებულია:
7.3.1 მიაწოდოს მიმწოდებელს მონაწილე პირთა სია, საკონტაქტო ინფორმაცია (პირი, ტელ. ნომერი და ელ.ფოსტის მისამართი)
7.3.2 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.
7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის, ახალგაზრდული პროგრამების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ანა ხაბარელი.
8.2 მომსახურების დასრულების შემდგომ (სრულად ან ეტაპობრივად) კონტროლის განმახორციელებელი პირი ადგენს აქტს ხელშეკრულების პირობების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
8.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებუელების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ მუხლის 10.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.
9.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დროზე ადრე მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება და ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ მუხლის 10.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.
9.5 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.
9.6 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5 მხარე ვალდებულია არანაკლებ 1 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ამ ხელშეკრულების 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

15. დასკვნითი დებულებები

16.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
მინისტრი	**დირექტორი**
მიხეილ ხატიაშვილი	**ანდრო ჯიშკარიანი**
---	---